ეროვნული ბიბლიოთეკა

1877—1899

№ 116

პარასკევი, 4 ივნისი, 1899 წ.

# ივერია

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

№ 116

პარასკევი, 4 ივნისი, 1899 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

გაზეთი „ივერია“ პირველ ივნისიდგან წლის დამლევამდე ეღირება 6 მან. 50 კაპ.

ამა ივნისის 2-ს, ხანგრძლივის და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა თავის სახლშივე, ქ. ოზურგეთში, ოზურგეთის მომრიგებელი შუამავალი სტატსკი სოვეტნიკი

**ალექსანდრე ტიმოთეს ძე ჯაყელი.**

ასული მისი ელისაბედი და ძმები ლევან და გრიგოლ ჯაყელნი, გულითადის მწუხარებით აცნობებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ, სთხოვენ მობრძანდნენ ქალაქ ოზურგეთში ცხედარის გამოსასვენებლად ამა ივნისის 8-ს, სამშაბათს, დილის 10 საათზედ. მიცვალებულის გვამს დაასაფლავებენ ქადიის წმ. გიორგის ეკლესიაში.

პანაშვიდი დანიშნულია ყოველ დღე დილის 10 საათზედ.

(3—6.—1)

**ნინო ბაბარაშვილისა, ალექსანდრე და ვლადიმერი ბაბარაშვილნი** გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებასა პირველი—მეუღლისას, დანარჩენნი—ძმისას

**ნიკოლოოზ მიხეილის ძის ბაბარაშვილისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ შაბათს, 5 ივნისს, ნიკოლოოზის ეკლესიაში მიცვალებულის გვამის დასაფლავებაზედ დასასწრებლად.

(1— —1)

შევისწავლე რა **საეკკლესიო მხატვრობა** მოსკოვის საუკეთესო სახელოსნოებში, ტფილისში ჩამოვედი იმ აზრით, რომ

**საეკკლესიო სამხატვრო სამუშაოები**

შევასრულო შეღავათიანის ფასით, კარგად და შნოიანად. მოწმობები მაქვს იმისა, რომ ამ გვარ სამუშაოებს ვასრულებდი და ბევრისაგან მადლობის წერილებიც-კი მივიღე. ადრესი: ტფილისი, კრუზენშტეინის ქუჩა, ბოლდანოვის სახლი. **ანდრეევი.**

(30—78—2)

რადგანაც 29 მაისს დანიშნული

**საზოგადო კრება**

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების წევრთა არ შესდგა წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ იგი გადადებულ იქმნა 7 თიბათვისათვის. კრება მოხდება ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დილის 10 საათზედ. განსახილველია შემდეგი საქმეები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1898 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შემოწმების შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა საზოგადოების შესავალ-გასავლისა 1899 წლისათვის.

4, მოხსენება განსვენებულის ალ. რონაშვილის ნაანდერძევის შესახებ.

5, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

6, არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და სამის კანდიდატისა.

(5—უ.—3)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ფ. ი. ზაზანასიანცი—დილის 11—12 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს.

ი. თ. შროტკსევიჩი—12—1 საათ. ყურის, ყელის, ცხვირის და გულის ავადმყოფ.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

ა. გ. გურკო. $1^1/_4$—$2^1/_4$ ს. შინაგანი და საშარდეს ავადმყოფობის.

საღამოობით:

გ. მ. მახვილაძე.—5—6 საათ. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფ.

ა. ნ. შპაკოვსკი—6—7 საათ. ნერვების (ელექტროტერაპია), ვენერიული და კანის სნეულებ.

ბ. ა. ნავასარდიანი $6^1/_2$—7 საათ.

ტ. ი. რუდენკო—სამკურნალოში გამოიკვლევს ქიმიურად, მიკროსკოპიულად და ბაქტეოროლოგიურად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

(—1—წ.)

## ახალი ამბავი

*** ფოთის ქალაქის მოურავი ნ. ნიკოლაძე 31 მაისს პეტერბურგიდგან ფოთში დაბრუნდა. პეტერბურგში ბ-ნი ნიკოლაძე ქალაქის საქმეების გამო იყო.

*** ქალაქის გამგეობამ $1^1/_2$ თვით დაითხოვა ქალაქის მდივანი ს. თ. ჭრელაშვილი და ქალაქის მიწის მზომელი ბ. ლარიონოვი. დროებით დათხოვნილ იქმნენ აგრეთვე გამგეობის სხვა მოსამსახურე კაცნი. ხოლო ქალაქის საბჭოს საქმეთა მწარმოებელი მიკელოვი თხოულობს სრულიად დათხოვნას სამსახურიდგან.

*** როგორც მოხსენებული გვქონდა, ტფილისის მიხეილის რკინისგზის სატეხნიკო სასწავლებელში უკვე დასრულდა ეგზამენები. სწავლა დაასრულა 19 კაცმა. მათ შორის 10 რუსია, 1 პოლონელი, 4 სომეხი და 4 ქართველი: ი. ვარაზაშვილი, პ. ნიორაძე, ს. პაიჭაძე და მ. ყაისაშვილი. ყველა კურს დამთავრებულთაგან რვა კაცი რკინის გზის მემანქანეს სამსახურში წავიდა, თერთმეტი-კი გზის შეკეთების სამსახურზედ. ქართველები, როგორც შარშან, ისე წელსაც ყველანი გზის კეთების სამსახურში შევიდნენ. მთელს სასწავლებელში რვა ქართველი დარჩა.

*** სამეგრელოს სამოქალაქო სასწავლებლის სახელოსნო განყოფილებაში 30 მაისს მოხდა ამ სასწავლებლის შეუძლებელ მოსწავლეთა დამხმარებელ საზოგადოების საერო კრება.

*** 21 მაისიდგან 29 მაისამდე ბაქოდგან ასტრახანზედ იმპერიაში გაუტანიათ 9.221.840 ფუთი ნავთის სხვა და სხვა გვარი ნაწარმოები. სულ მას შემდეგ, რაც გემების მიმოსვლა გაიხსნა ბაქოსა და ასტრახანს შუა, გაუტანიათ 93,003,899 ფუთი ნავთის ნაწარმოები.

*** ამ ბოლოს დროს ტფილისის ბაზრებზედ გაჩნდა ახალის ჯურის გაიძვერობა, რომლის მსხვერპლნი სხვა და სხვა გვარის ნაწარმოების გამყიდველი სოფლელები შეიქმნენ. გაიძვერები ვერცხლის მანეთიანის მაგივრად აძლევენ სოფლელთ მოვერცხლილ შაურიანებს.

*** სოჭის სამეურნეო სადგურზე თამბაქოს გაშენების საცდელად მიწადმოქმედების სამინისტროს გამოუგზავნია თამბაქოს საქმის მცოდნე კაცი იმავე სამინისტროს საგანგებო მინდობილებათა მოხელე შჩერბაჩევი, რომელიც დაათვალიერებს აგრეთვე ენფიანჯიანცის თამბაქოს ყანას ტფილისის გუბერნიაში და შემდეგ წავა ქუთაისის გუბერნიაში თამბაქოს გასაშენებელ ადგილის ამოსარჩევად.

*** ეგზამენები ტფილისის სასულიერო სასწავლებელში დასრულდა 28 მაისს. სწავლა დაამთავრა 22 მოსწავლემ, მათ შორის სემინარიის 1-ლ კლასში გადაყვანილ იქმნა რვა მოსწავლე, რომელთაგან მხოლოდ ორია ქართველი: ნ. ბედიაშვილი და ვ. ვეფხვაძე. დანარჩენი-კი რუსები არიან.

*** ტფილისის სახაზინო პალატამ იმის გამო, რომ უძრავს ქონებაზედ დარჩენილი საერო გარდასახადი 200%-ს უდრის, სთხოვა გუბერნატორს, ნება მიეცით ხარკის-ამკრეფ ინსპექტორებს შეამოწმონ ქალაქის გამგეობათა ანგარიშები საერო გადასახადების შესახებაო.

*** თიონეთის მაზრიდგან იუწყებიან, რომ მაისის უკანასკნელ რიცხვებში იქ მოსულმა სეტყვამ გააფუჭა თოლათ-სოფელისა და რაოდენადმე საყდრიონის სასოფლო საზოგადოებათა ყანები. ზარალი უდრის 15,000 მან.

*** დუშეთის მაზრაში, სოფ. ქსოვრისსა და მუხრანს შუა, როგორც ისმის, ხუთის დესეტინის სივრცეზედ კალია გაჩენილა. მის გასაწყვეტად უკვე უხმარიათ საშუალებანი.

*** სოფ. თიონეთში დროებით დაარსდა საინტენდანტო სასურსათო მაღაზია.

*** დ. სურამს წელს მრავალი მოაგარაკე თურმე ეტანება.

*** დ. ბაღდადის (ქუთ. მაზ.) სასწავლებელში პუშკინის დაბადებიდგან ასის წლის შესრულების დღეს გაიმართა სალიტერატურო დილა, რომელსაც მრავალი ხალხი დაესწრო. მასწავლებელმა ბურჯანაძემ წაიკითხა პოეტის ბიოგრაფია. ბავშვებმა წარმოსთქვეს ლექსები.

*** „ტფ. ფურც.“-ს ატყობინებენ, რომ კავკასიის საბეითალო ინსპექტორმა ს. ს. რემერმა პეტერბურგში ბეითალთა კრებაზედ ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ დაუბრკოლებლივ შეიძლებოდეს კავკასიიდგან პირუტყვის გაგზავნა პოლონეთში, აგრეთვე საზღვარ გარეთ და კუნძულ მალტაზედ. კრებამ მოიწონა ეს წინადადება და საჭიროდ სცნო აღიძრას შუამდგომლობა ამ საგნის შესახებ.

*** როგორც სატახტო ქალაქის შაზეთები იუწყებიან, უწმ. სინოდმა აჰკრძალა ეკლესიებთან საფლავებზედ ძეგლის დადგმა და მათი შემოლობვა.

*** „კავკ.“-ს ატყობინებენ, რომ გორის მაზრის სოფ. ედისისა, ხოჯისა, ზემო-კაბუსტისა, ზემო-ერმანისა, ქვემო-ერმანისა და შუა-ერმანის მცხოვრებთ განაჩენი დაუდგენიათ ს. ედისში ერთ-კლასიან სკოლის დაარსების შესახებ; სკოლის სასარგებლოდ უკისრნიათ თითო მან. გარდახდა კომლზედ, მახურის დაქირავება და სამი საჟენი შეშის დადგმა. როგორც ისმის, ეს განაჩენი უკვე დაუმტკიცებია სათანადო მთავრობას და გაუგზავნია ტფილისის გუბერნიის საერო სასწავლებელთა დირექციისათვის.

*** მეტეხი. 22 მაისს აქ დიდი სეტყვა მოვიდა, რომელმაც თითქმის სულ გაანადგურა ვენახები და ყანები. უკანასკნელ ხუთის წლის მოუსავლობის შემდეგ, წელს ვენახებს კარგი პირი უჩანდა და ხალხიც სიხარულით შეჰყურებდა, მაგრამ ამ სეტყვამ იმედი გაუცრუათ გლეხებს. ოთხი-ხუთის წლის დარჩენილ გადასახადს ჩვენი სოფლელნი წელს უპირებდნენ გასტუმრებას, მაგრამ ეხლა რაღას გაისტუმრებენ, როდესაც საკმაო საკვებიც არ მოუვათ. ამის გამო სოფელმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ეს ძველი გარდასახადი ეპატიოს. თუ მთავრობამ ეს თხოვნა არ შეიწყნარა, მაშინ შინ მტერს, რაც ჩვენ გაჭირვება დაგვადგება.

*** ს. პრიუტი. წარსულ 1898 წ. პირველ ქრისტეშობის თვეს ჩვენში დაარსდა საეკკლესიო-სამრევლო სასწავლებელი და ამ მოკლე ხანში უკვე მოიტანა ღირსეული ნაყოფი. 26 მაისს დანიშნული იყო ამ სკოლის ბავშვების გამოცდა, რომელსაც დაესწრო საეპარქიო საბჭოს წევრი, ტფილისის სასულიერო სემინარიის მასწავლებელი ნ. დ. მახათაძე, მოთავე ამ სკოლის დაარსებისა. გამოცდამ გვარიანად ჩაიარა: ბავშვები გონივრულს პასუხს იძლეოდნენ. განსაკუთრებით მოსაწონი იყო ბავშვების საეკკლესიო გალობა. ბავშვები, რომელნიც ამ ექვსის თვის წინად ხარებს დასდევდნენ ტყეში და გინებისა და ლანძღვის მეტი არა იცოდნენ-რა, ეხლა კითხულობენ და სწერენ, იციან ლოცვები და საღმრთო-სჯული, ანგარიში ასამდის და წირვის გალობა. გამოცდის შემდეგ ბავშვებს დაურიგდათ წიგნაკები სარწმუნოებრივ-ზნეობრივის შინაარსისა.

დასასრულ ბ-მა მახათაძემ მიჰმართა მშობლებს, რომელნიც მოწვეულ იყვნენ გამოცდაზედ, აუხსნა სწავლის მნიშვნელობა და ამასვე დაუკავშირა ა. ს. პუშკინის ასის წლის დაბადების დღე, რომლის შესახებ წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა. შემდეგ ლოცვები იგალობეს ბავშვებმა და დაიშალნენ მშობლები ბავშვებითურთ.

⁂ სოფ. გურჯაანი, (სიღნაღ. მაზრა). აგერ ორი წელიწადია მას შემდეგ, რაც ამ სოფელში ბოგირია გაფუჭებული, ამიტომ მგზავრები შიშითა და წვალებით უქცევენ სწორ გზას და ისე უვლიან შორს. შარშან გაზ. „კავკასში"-აც იყო წერილი დაბეჭდილი ამის შესახებ, მაგრამ დღესაც-კი უყურადღებოდაა დატოვებული.

გურჯაანში და საზოგადოდ მთელს სიღნაღის მაზრაში მოსავალს კარგი პირი უჩანს. ეხლა ყველა გაფაციცებით სწამლობს ვენახებს, მით უმეტეს, რომ გაუადვილდათ წამლობის საქმე,—რადგან ყველა დიდ სოფლებში შაბიამან-გოგირდის და მანქანების საწყობებია გამართული.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერის სამმართველოში 1-ლ ივნისიდგან, სიცხეების გამო, მუშაობა ყოველ დღე მხოლოდ პირველ საათამდე გასტანს, და არა ორ საათამდე.

⁂ რადგან ტფილისის საგუბერნიო სატუსაღოები მთლად აივსო ტუსაღებით, ამის გამო 1-ლ ივნისს ტფილისიდგან რამდენიმე ტუსაღი ტიუმენში გაჰგზავნეს.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა ბოქაულებს, დაიარეთ თქვენდამი რწმუნებული უბნები და სახლის პატრონები ხელის მოწერით ვალდებულნი გახადეთ, რომ ორის კვირის განმავლობაში სარდაფების ფანჯრებში ფიცრის მაგივრად სქელი მინა გააკეთონ, ხოლო ვინც ამ მოთხოვნილებას არ აასრულებს, პასუხის გებაში მიეცითო.

⁂ კავკასიის მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი ტ. ს. მიცკევიჩი 2 ივნისს ბათუმს გაემგზავრა.

⁂ როგორც შევიტყეთ, ი. იმედაშვილი ჰბეჭდავს ორს ახალს წიგნს: ვაჟა-ფშაველას პოემას „ჰაოს და ქართლოს" და „უცხო სიტყვათა ლექსიკონს".

## წერილი თელავიდგან.

27 მაისს თელავის წმიდა ნინოს დედათა სასწავლებელმა იდღესასწაულა პუშკინის ასის წლის იუბილეი და ამ დღესასწაულს შეუერთა აქტიცა. დილის 11 საათზედ მიწვეულნი: მოსწავლეთა მშობელნი, ყველა სასწავლებლების მასწავლებელნი და ყველა დაწესებულების წარმომადგენელნი ერთან შეიკრიბნენ სასწავლებლის დარბაზში, რომელიც შეკრებილთ ძლივს იტევდა, თუმცა სამეფო დარბაზი ძალიან დიდია. საზოგადოებას აქ დაუხვდნენ გამგეობის წევრნი და მათი თავმჯდომარე ქ-ნი განსევიჩისა. აქტი სამადლობელ პარაკლისით დაიწყო.

პარაკლისის შემდეგ დეკანოზმა მამა ხელაშვილმა მიჰმართა მოკლე და მარტივი სიტყვით სწავლა-დამთავრებულთ და განუმარტა, რა უნდა შეიტანონ ცხოვრებაში და რას უნდა ელოდდნენ მისგან. ამის შემდეგ სამოქალაქო სასწავლებლის მოსწავლეთა ორკესტრმა დაუკრა საერო ჰიმნი „ღმერთო ჰფარვიდე მეფესა". შემდეგ მასწავლებელმა ქალმა ე. მ. შიუკაშვილისამ გააცნო მოსწავლენი და საზოგადოება პუშკინის ცხოვრებას, რის შემდეგაც მოსწავლენი ხან მოხდენილად პუშკინის ლექსებს გვიკითხავდნენ, ხან მწყობრად პუშკინის ლექსებს, სხვა-და-სხვა კომპოზიტორებისაგან მუსიკაზედ გადაღებულს გვიმღერებდნენ და შიგა და შიგ ორკესტრიც უკრავდა.

ბ-ნმა ზისერმანმა წაიკითხა ანგარიში სასწავლებლისა, რომელშიაც, სხვათა შორის, აღნიშნა, რომ სასწავლებელს კარგა ძალი ნაღდი ფული გადარჩენია ამ წლის პირველ იანვრისათვის; რომ რუსულის ენის გასაძლიერებლად გაკვეთილები მოუმატებიათ და სხვა ყოველი ღონე უღონიათ; რომ საანგარიშო წელიწადს სასწავლებელს შესაწევრად მიუღია ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისაგან ასი თუმანი და სხვ.

ბოლოს წაკითხულ იქმნა სიები მოსწავლეთა, აღნიშვნით, ვინ გადავიდა, ვინ დარჩა და ვინ შეასრულა სწავლა. უკეთესთ დაურიგდათ საჩუქრები, სწავლა დამთავრებულთ მოწმობანი, საჩუქრად წიგნები და საქები ფურცლები. პირველი ხარისხის საჩუქრით დაუმთავრებიათ სწავლა კნეაჟ. ჯანდიერს, ე. ნასიძეს, წინამძღვრიშვილს და მიკირტუმოვს, რომელთაგან ჯანდიერი იგზავნება ამ სასწავლებლის ხარჯით სწავლის გასაგრძობად ტფილისის წმ. ნინოს დედათა სასწავლებელში.

პირველს საათზედ დანიშნული იყო პანაშვიდი თელავის თვით-მმართველობისაგან მისივე სადგომში. თვით-მმართველობის დარბაზი მორთული იყო პუშკინის სურათით, დაესწრნენ თელავის მამასახლისი ბ-ნი თათუზოვი ათის რწმუნებულითა, საზოგადოებისაგან ათი ქართველი და ორიც სომეხი. პანაშვიდი შეასრულა დეკანოზმა მ. ხელაშვილმა. პანაშვიდის შემდეგ ბატონმა თათუზოვმა მიჰმართა დამსწრეთ სიტყვით, რომელშიაც აღნიშნა, რომ 17 მაისს საგანგებო კრებაზედ თვითმართველობას დაუდგენია დააარსოს სამოქალაქო სასწავლებელში ერთი სტიპენდია პუშკინის სახელობაზედ, დაარქვას თელავის საქალაქო ბაღს პუშკინის ბაღი და გარდაიხადოს პანაშვიდი პუშკინის სულის მოსახსენებლად.

დამსწრე საზოგადოება დიდის სიამოვნებით მიეგება სტიპენდიის დაარსებასა, მაგრამ ამასთანავე დააფიქრა იმ გარემოებამ, რომ ბ-ნმა თათუზოვმა არ აღნიშნა არც წელიწადი, რომლიდამაც იწყობა სტიპენდია და არც თავნის რაოდენობა, რომელიც გადაუდვია თვით მმართველობას.

ნადიკვრელი

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სოფ. ნებითი-ქრისტიანი,** (კაკკაგის მაზრა). რვა მაისს ამ სოფელში მობრძანდა სარევიზიოდ გაგკვისა და მოზდოკის ეპისკოპოსი ვლადიმერი. წინა დღითვე სოფელში ხმა გავარდა, რომ ყოვლად სამღვდელო მოდისო და ამიტომ სოფელიც სადღესასწაულო ბაირაღებით მოირთო, და ამოდენა აურებელი სოფელი (1000 კომლია) გაცანქალებით მოუთმენლად ელოდა მწყემსმთავარს. საღამოს საათის ხუთის ნახევარზედ მობრძანდა მათი მეუფებაც; ხალხი პურ-მარილით მიეგება. ეკლესიის გალავანი სავსე იყო ხალხით. ყოვლად სამღვდელომ ეკლესია დაათვალიერა, აიაზმა ასხურა და, რა-კი შენიშნა,—ხალხი ეკლესიაში არ დაეტევაო, ლოცვა ეკლესიის გალავანში შეასრულა. ლოცვის შემდეგ ხალხს ესაუბრა და ღამის გასათევად მიბრძანდა ადგილობრივ მღვდელ ბლაღოჩინთან ა. ცაგოლოვთან. მეორე დღეს მწირველი ბრძანდებოდა აქვე. რადგანაც ხალხი წინა დღეზედ მეტი შეიკრიბა და ეკლესიაში მათი მოთავსება ყოვლად შეუძლებელი იყო, ამიტომ მათმა მეუფებამ წირვის წესიც გარეთ შეასრულა. წირვაზედ რუსულად და ოსურად ჰგალობდა ორი ხორო, ქალებისა და ვაჟებისა, ადგილობრივ სამრევლო სკოლის მოსწავლეებისაგან შემდგარი. წირვის შემდეგ მათმა მეუფებამ საყდრის გალავანში გარდაიხადა სადიდებელი პარაკლისი წმ. და საკვირველ-მოქმედის ნიკოლოზისა. პარაკლისის შემდეგ ყოვლად სამღვდელომ კათედრიდგან ხალხს დაუწყო მოძღვრება. სხვათა შორის, მათმა მეუფებამ ხალხს აუხსნა აუცილებელი საჭიროება მეორე ეკლესიისა და ორ-კლასიან სამრევლო სკოლისა. რამდენის გამოღება შეგიძლიანთ ამ საქმისათვისო?—შეეკითხა მღვდელ-მთავარი ხალხს. ჩვენ შეგვიძლიან ვიტვირთოთ 3,000 მ. ფულად და რაც მასალა მოუნდება ეკლესიას და სკოლასაო,—უპასუხა ხალხმა. ყოვლად სამღვდელომ უბძანა: ჩემას მხრით მე გაძლევთ პირობას, რომ 1,500 მ. გამოგითხოვთ უწ. სინოდიდგან, მხოლოდ განაჩენი ამ ნაირის შინაარსით დაადგინეთ, რომ თუ უწ. სინოდი 1,500 მ. დაგვეხმარება, დანარჩენი რამდენიც დასჭირდება, ჩვენ ვკისრულობთო. მე სიტყვას გაძლევთო,—ბრძანა მღვდელ-მთავარმა—რომ, თუ მეტი ფული იქნება საჭირო, იმასაც კიდევ ისევ მე გამოგითხოვთო. ხალხმა დიდი მადლობა მოახსენა ამ ნაირ მოწყალებისათვის მღვდელ-მთავარს.

შემდეგ ადგილობრივმა მღვდელ-ბლაღოჩინმა მ. ა. ცაგოლოვმა მოახსენა მათს მეუფებას, რომ ხალხი ორ დასად არის გაყოფილი და ვერ რიგდებიან ეკლესიისა და სკოლისათვის ადგილის ამორჩევაზედ. ყოვლად სამღვდელო ამის შესახებაც ბევრი ესაუბრა ხალხს და სთქვა: მე რომ ამოგირჩიოთ ადგილი, თანახმა გახდებითო? ხალხმა მოახსენა, რომ ღირსი არა ვართ თქვენის მოწყალებისა, თორემ თუ კი ამოგვირჩევთ, როგორ არ დავთანხმდებითო. მაშ კარგი და ხვალ გიჩვენებთ მე ადგილსო, ჰბრძანა მათმა მეუფებამ. შემდეგ ყოვლად სამღვდელომ ხალხი დაითხოვა და უთხრა—შუადღის შემდეგ ოთხ საათზედ შეიკრიბენითო. ყოვლად სამღვდელომ ისადილა და ცოტა მოისვენა. ოთხ საათზედ ეკლესიისავე გალავანში ყოვლად სამღვდელომ, ხალხის თანადასწრებით, გამოსცადა სკოლის შეგირდები, ვაჟები და ქალები, და დიდი კმაყოფილი დარჩა. შემდეგ ჯვრები და წიგნაკები დაურიგა მოსწავლეებს და ხალხს კიდევ ესაუბრა სხვა საგნებზედ.

მეორე დღეს, ე. ი. ათ მაისს, მათი მეუფება მიბრძანდა ამ სოფლის მეორე მღვდლის ნ. ბაკურაძის სახლში, სადაც ჩაი მიირთვა. შემდეგ ყოვლად სამღვდელომ გაიარა სოფლის უმთავრესი ქუჩა და დაუსახლა სოფელს შუაგული ადგილი ეკლესიისა და სკოლისათვის. აქედგან წაბძანდა სოფ. უაუადურში. უკანგან მათ მეუფებას აურებელი ცხენოსანი ხალხი აცილებდა და სამღვდელოებაც სოფლით სოფლამდის მიჰყვებოდა. მათი მეუფება უაუადურში მიბძანდა თუ არა, ეკლესია დაათვალიერა და გალავანში პარაკლისი გარდაიხადა; შემდეგ ესაუბრა ხალხს, სკოლის შეგირდები გამოსცადა, მცირეოდენ ისაუზმა და გაემგზავრა ბათაყოს სოფლისკენ. აქაც, ე. ი. ბათაყოში, ეკლესიის დათვალიერების შემდეგ, გალავანში გარდაიხადა პარაკლისი,

# ფელეტონი

## „სადღა წავიდე?!"

(პაწია ამბავი)

### I

ქმრის დროსვე ოლაზედ თვალი ბევრს ეჭირა, მაგრამ ოლას ფიქრადაც არავინ მოსდიოდა...

როცა-კი ოლა დაქვრივდა, ყველას გაუხარდა და რაღაც იმედი მიეცათ ლამაზ ქვრივის დამონავებისა...

ოლას თავისი ქმარი ტიტო ფრიად უყვარდა, სამარის კარებამდე მისი ერთგულ-ერთსული იყო და ეხლაც უნდოდა არ გაეტეხა ფიცი და არ ეღალატნა მისთვის. სულ იმას ჰნატრობდა: პირნათლად მიჰგებებოდა თავისს ქმარს საიქაოს...

სიტყვას რო ჩამოაგდებდნენ გათხოვების შესახებ, ან ანიშნებდნენ ხასობას, ოლა სჯავრობდა და სწყრებოდა.

— ადამიანი ღვთის გაჩენილია,—დასძენდა ხოლმე ოლა: სულიც მას ეკუთვნის: ვისაც უნდა მისცემს, ვისაც უნდა წაართმევს... პატიოსნება-კი ჩვენს ხელშია და თუ დავკარგავთ, ჩვენივე ბრალი იქნება...

არც სტყუოდა ოლა: განა კაი ქმრის დაკარგვა საკმარისი არ იყო, რომ სინიდისიც არ დაეკარგა?! განა გაჭირვება არ ეყოფოდა, რო ჩირქ-ლაფ-მოცხებული არ ევლო?!

ოლამ ეს კარგად იცოდა და არც ისე უჭირდა, რომ სული რასმეზედ წასძლეოდა და შეჰსცდომოდა: ორ-სამს ბავშვს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდა და ამობაში იოლად გამოდიოდა...

ოლას მხოლოდ ერთი ის აწუხ-ადარდებდა, რომ ვიღაც მედუქნე ანდრია მოსვენებას არ აძლევდა უზნეო ყოფა-ქცევით: ოლას სიყვარული ჩაჰვარდნოდა გულში და აღარ იცოდა, რით და როგორ მოენელებინა...

რომ მოსწონებოდა ოლას ანდრია კოპწი-კოხტაობდა: წითელ-ყვითელ ტანისამოსს იცვამდა და კვირაში ორჯელ-სამჯერ წვერ-ულვაშს ისწორებდა, ხანდახან კიდეც შორი-ახლო ეარშიყ-ეალერსებოდა...

მართალია, ოლა თავს არ უყადრებდა, მაგრამ მოთმინების საწყაო აევსო და ჯავრს გულში იკლავდა...

— შეურცხვეს ნამუსი, გულ-ნატკენად სჩიოდა ხოლმე ოლა: განა ქვრივი რო ვარ, მუშტრის თვალით უნდა მიყურონ?! განა საბუთი რამ მივეცი, რო ხასათ მიწვევს?! ღმერთმან ჰკითხოს, ღმერთმა!..

თუმცა ოლამ პირი არ უჩვენა ანდრიას, მაინც ანდრია არ ისვენებდა: იქამდის გათამამდა, რო... ვიღასთვისაც დეეჯღაბინებინა ლექსი და ნობათად მიართვა:

„ოლინკა ჩემო ოლიო"
„შენ ხარ ედემი, კოლიო"
„ჯვარს შენზე მე დავიწერდი"
„რომ არა მყვანდეს ცოლიო"..

. . . . . . .

### II

ოლას გულ-გრილობამ ანდრია ძალიან გააბრაზა.

ანდრია დაბალ-ღობის გათელას იყო დაჩვეული და ოლამ აინუნში არ ჩაიგდო, ცოტა არ იყოს შეფიქრიანდა.

ანდრია სულ იმ ფიქრში იყო: როგორ მოეხერხებინა რომ... ოლას მისი თავი დასჭირებოდა... რა ხერხი ეხმარა, რომ... ოლა გაჭირვებაში ჩავარდნილიყო და ეგება მაშინ გაებედნა... ანდრიამ კარგათ იცოდა რომ „წყალ-წაღებული ხავსს ეჭიდება" და შეუდგა თავის ხეთქას.

— ის ერთი-ორი შეგირდი რო ჰყავს,—ცბიერად გაიფიქრა ანდრიამ, ხელიდამ გამოვაცლი და მერე რაღას იზამს?! კუჭი რო შეაწუხებს, არც მაშინ მნახამს?!. სული წმიდა ხო არ შეინახავს?! შეგირდების ხელიდგან გამოცლა ადვილია: ან მოუგონებ რასმეს, ან ჭარა-და, სხვა ოსტატს შეუყენებ. . . . .

. . . . . . . . . . .

### III

საფლავების კურთხევის დღეობაა. მკვდართა სამეფო ჭირისუფლებით და გულ-შემატკივრებით მოფენილია. სასაფლაოც მოსაწონად აყვავ ამწვანებულა და გრილი სიო სასიამოვნოდ დაჰბერს.—ხან ქვითინ-ტირილი მოისმის, ხან მღვდლის გალობა.

დედა შვილს ტირის, შვილი კიდევ დედას, და ძმისთვის ცრემლს არხევს, ძმა დისთვის. ქვრივი ქმარს დაჰკვნესის, ობლები მამას...

ერთის სიტყვით, ცრემლის მორევი სდუღს და გადმოდის და ანამებს მშრალს დედამიწას.—

ოლასაც მიუგნია თავისის ქმრის საფლავისათვის, ცრემლითა რწყავს და ქვითინებს.

საბრალო ოლა ძონძებშია გახვეული და ისე მოჰხვევია საფლავს, თითქო ეჯავება—„მეც შენთან მიმიღეო. ვერ მეთმობიო"... შენ იქით გზა აღარა მაქვსო"...

ან სადღა უნდა წავიდეს ოლა? აღარც სახლი აქვს, აღარც კარი, ლუკმა წაართვეს და აღარაფერი შერჩა, სინიდისის მეტი...

— ფეხსაც არ მოვიცვლი,—ღუდ-ღუდებდა ოლა: აქ, ჩემ საყვარელ ტიტოს საფლავთან სიკვდილი მირჩევნია, იქ შორს, საფლავ გარეთ, ნაძრახს სიცოცხლეს...

თან და თან ბინდდებოდა და ხალხი შინისკენ იკრიფებოდა, ოლა-კი დაჰკონებოდა საფლავს და ქვითინებდა...

— სასაფლაოს კარებსა ვკეტავ,—შესძახა ოლას მცველმა: ვინა ხართ მანდ, წადით.

ოლა დაღლილ-დაქანცულ ხმით ჰქვითინებდა და მცველის ხმას ყური ვერ მოჰკრა.

— არ გესმის, წადით-მეთქი, კარებსა ვკეტავ.. უდროობაა, ყველანი წავიდნენ...

ოლა ოდნავღა სუნთქავდა: ქმრის საფლავზედ დასძინებოდა...

— არ გესმის, მცველმა წაჰკრა ფეხი: რა დროს ძილია, კარებსა ვკეტავ...

— რა გინდა? შეჰკნავა შემკრთალმა ოლამ.

— წადი მეთქი, კარებსა ვკეტავ.

ოლას გული ამოუჯდა და ქვითინი დაიწყო...

— წადი-მეთქი, წადი, ადამიანო!..

— სად წავიდე სად?!.

დუშელი ვანო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხს ესაუბრა და ღამე აქ გაათია. თურმეტს მოსწავლეები გამოსცადა და შემდეგ სოფ. ხუმელაგისაკენ გაემართა; ხუმელაგიდგან—ბესლანში და იქიდგან წაბრძანდა კავკავში საღამოს მატარებლით. საზოგადოდ, ყველგან აუარებელი ხალხი ეგებებოდა საყვარელს მწყემსმთავარს და დიდის აღტაცებით უსმენდა ტკბილს მღვდელ-მთავრულ მოძღვრებას.

ქართველი ოსებში

## ვაი კორესპონდენტებს!

(თ-დი ნ. თავდგირიძის წერილის გამო „ივერია“ № 71)

თ-დი ნ. თავდგირიძე ეს მეორე ჯერ შეგვწყრა ბეჭდვითი სიტყვით საერთოდ ჩვენის ჟურნალ-გაზეთების კორესპოდენტებს. პირველად „ცნობის ფურცლის“ შემწეობით გვესროლა ყუმბარა, რასაკვირველია, ნამდვილ წამალის მაგიერ მტვერითა და ბრეთი გატენილი და ყველა „ბიჭ-ბუჭების“ სახელით მოგვნათლა. ეს ის დრო გახლდათ, როცა „დრონი იმედებისა“ უკვე გაჰქრენ აჩრდილივიდ და მოახლოვდა დრო ქ. ოზურგეთის ნამდვილის მდგომარეობის გათვალის-წინებისა. ეხლანდელი საუცხოვო საჩუქარი-კი „საზოგადო წერილის“ (?) სახით არის კორესპოდენტთა მიმართ მოძღვნილი. იმედი გვაქვს ამ წერილს ბევრი კარგად იცნობს, განსაკუთრებით გურიაში, მაგრამ ვაი რომ აქა იქ მართლა „საზოგადო წერილად“ მოეჩვენებათ! გავსინჯოთ:

ნეტავ ის რომელი ჟურნალ-გაზეთობაა, რომ მას არც ერთი სინიდისიერი კორესპონდენტი არ მოეძევება? ნუ თუ ისე გაირყვნა და გათახსირდა ჩვენი ჟურნალ-გაზეთობა, რომ ჰბეჭდავს იმათ მოწერილ ამბებს, ვინც მარტო „ზიზღის ღირსია“ (sic), როგორც თ-დი ნიკო თავდგირიძე ჰბრძანებს? თუ ათასში ერთი კორესპოდენტი სტყუის, ნუ თუ ამიტომ საჭიროა სულ ყველასი ბიჭ-ბუჭების სახელით დანათვლა და ახირებულის პროექტების წერა? ეს რაიმე შიშით თვალ-ახვეულ გონების ნაყოფი თუ არის, თორემ სხვას რას უნდა მივაწეროთ ასეთი აზრი! რას ეძახით, ბ-ნო, საზოგადო და კერძო მოვლენათა? ესა, თუ ის მოვლენა თუ საზოგადოა, ბევრ ალაგას ჩნდება, ყველამ იცის, მაშინ ის ხომ საკორესპოდენციო აღარ არის; მას შეეხება მწერლობა საერთოდ და არა კორესპოდენციის სახით. კორესპოდენციის დანიშნულება სწორედ ის არის, რომ კერძო მოვლენათა შეკრებით და თავ-მოყრით შედგენილ იქმნას მწერლობაში ჯეროვანი შეხედულება ამა თუ იმ ჩვენის ცხოვრების საგანსა, ან მოვლენაზედ. მაგრამ განა საქმე ეს არის? საქმე გახლავთ თვით კილო და სული და გული თ-დ თავდგირიძის წერილისა. აქაო და ჩემს პროექტს თუ შეიწყნარებთ, მაშინ ამ ბრიყვ კორესპონდენტებს მოვაჰკვიანებთო და წერას ვასწავლითო. მაშ! არც აქეთ და არც იქით! (ნეტავი სად იმყოფებიან ეს თავ. ნ. თავდგირიძის მოსაჰკუიანებელნი?). არ იკითხავთ, რისთვის მოუწადინებია ეს თავადს ნიკოს? იმისთვის, რომ მას საჩივრები მისვლია, აგვიკლეს კორესპონდენტებმა და დააჰკვიანეო. ალბად ამ აკლებულებმა იციან, რომ თავ. ნიკო თავდგირიძეს სხვაში დაჰკვიანების სურვილი კარგა ხანია აღძრული აქვს, სულ ერთია, შეიძლებს თუ არა, იტყვის მაინც. ამ მოკლე ხანში თ. ნ. თავდგირიძემ „გურიის მეეტლეთა ამხანაგობის“ კრებას წარუდგინა ასეთი პროექტი: თქვენ უვიცნი ხართ, ამხანაგობას ვერ მოუვლით, მე გიშველით, გადმომეცით საქმეო. აკი გადასცეს „ბრიყვებმა“...

ვისურვებთ ეხლანდელის პროექტის ამგვარადვე განხორციელებას.

ჩვენი კორესპონდენტები უმეტეს ნაწილად სჩივიან: ამა თუ იმ კუთხის გონება-ქონებრივს უკან ჩამორჩენას, ავადმყოფობას და უმკურნალობას, დიდთაგან პატარების დაბეჩავებას, ძალის მქონეთაგან უძლურის დაჩაგვრას და კანონის აშკარა დარღვევას. აი უმთავრესი კილო. ნუ თუ ამისთვის იმათ პირში ბურთი უნდა მივაგებოთ, როგორც თავად ნიკოს ჰსურს? ნუ თუ ეს კილო მწერლობაში ყურადღების ღირსი არ არის? ჩვენს ცხოვრებაში ამ გვარი მოვლენანი განსაკუთრებით საყურადღებო შეიქმნა. მოგეხსენებათ, საქმე არსად არა რჩება „უაპელაციოდ“ კორესპონდენტებზედაც ხშირად მიდის რედაქციებში „აპელაცია“, იმათი უმეტესი ნაწილი ნაყოფია ვითომდა შელახულის თავმოყვარეობისა, მაგრამ ნუ თუ თ-დ ნიკოს პროექტი მოსპობს ამ „აპელაციებს“ და ან რაიმე კარგს ნაყოფს მოიტანს? ვნახოთ. სოფ. აკეთში ამ ცოტა ხანში ზოგიერთის ვაჟბატონთა მეოხებით დატრიალდა ფრიად საზიზღარი საქმე („კვალი“, „ცნ. ფურც.,“, „ივერია!!“). არც ერთს ამ საქმეში „კბილ-გაკრულებს“ თავი არ უმართლებიათ. ასეთი ამბები, საბედნიეროდ, მგონი „საზოგადო მოვლენად“ არ გადაქცეულა ჯერ ჩვენში, მაგრამ ნუ თუ მისი გამოქვეყნება და მით უპატიოსნოთა სამარცხვინო ბოძზედ გაკვრა საჭირო არ არის? იმედია, რედაქციებში „აპელაცია“ გაიგზავნებოდა „კბილ-გაკრულების“ მხრივ. მივანდოთ ახლა თვით თ-დ ნიკოს ამის გარჩევა. ნეტავი ვიცოდეთ რა ახალ ამბავს გვეტყოდა ის? ჩვენ-კი გვგონია, რომ „ნათლი მამ ხათრი ჯამობა“ ჯერ-ჯერობით ძალას არ ჰკარგავს, თუ გინდ მთელი გურია ფეხით მოვლეთ. ასეთი „შინაურული მედიატორული“ წესი მით უფრო საშიშია, რომ „ნათლი-მამობის“ და „პურ-მარილობის“ მაგალითები ბლომად გვაქვს ხელში. ერთს მაინც დავასახელებთ. ოზურგეთში ერთი გავლენიანი თანამდებობის კაცი ჩამოეკიდა ოცის წლის ნამსახურს მასწავლებელს და იმ დრომდე არ მოისვენა, ვიდრე ერთს შეკრებილებაში „жалкій педагогъ“ არ დაუძახა. არც ეს „ჟალკი პედაგოგი“ იყო თურმე უენო და იმანაც „жалкій юристъ“-ი მიახალა პასუხად. ვაი მისს დღეს! ორი კვირის შემდეგ მასწავლებელი ადგილობრივ კლუბის წევრობიდგან გამორიცხეს. რისთვის? „იურისტმა“ ისურვა და აბა „პურმარილს“ ვინ გადავიდოდა! რას იტყვით, ბატონებო, ამაზედ უფრო ცუდი „შინაური სამართალი“ შეიძლება?

რამ განარისხა კორესპონდენტებზედ თ-დი ნ. თ—ძე, ჩვენ არ ვძიობთ, მხოლოდ მისი პროექტი რომ ერთობ მეტი ბარგია, ეს ყველასათვის აშკარაა, მაგრამ ეს ვის ესაჭიროება; განა ამ დროში ცოტა იწერება პროექტები, მერეკიდევ ოზურგეთში? დეე, ესეც მიემატოსო. ჩვენ ვიცით პროექტები შესახებ რკინის გზისა, პროგიმნაზიისა, და შეკვეთილის კეთილდღეობისა, მეეტლეთა ამხანაგობისა, ქალაქის თეატრისა და მრავალი სხვა, ისიც ვიცით, რომ თეატრის ხეები ოზურგეთის ბაღში ლპება და. შეკვეთილი მკვდარია, რკინის გზის ჰაჰანებაც არა სჩანს, პროგიმნაზიაც გვარიან შორს არის, „მეეტლეთა ამხანაგობის“ წევრებმა ისევ ბრიყვებად დარჩენა ირჩიეს და სხვა. ისიც ვიცით, რომ საქალაქო ბაღში არც ერთი სკამი არ არის, ქალაქის მოედანზედ ხბოები და ძროხები დასეირნობენ, უმკურნალობამ ლამის სული ამოგვართვას, მაგრამ... რა ერთი მოგიყვეთ, ბატონო ჩემო... ღმერთმა პროექტები გვიგზავნოს და სხვას ნურარას ვითხოვთ...

ვ. სეფისპირელი

## რუსეთი

— როგორც გაზ. „Пет. Вѣд.“-ი იუწყება, იმ სემენარიელთა გამოცდა, რომელთაც პეტერბურგის უნივერსიტეტის აღმოსავლეთ ფაკულტეტზედა ჰსურთ შესვლა, მოხდება აგვისტოში. ეგზამენის დაჭერის ნება აქვთ მხოლოდ იმ სემენარიელთ, რომელთაც პირველის ხარისხით აქვთ გათავებული სწავლა სემენარიაში.

— იმავე გაზეთის სიტყვით, პეტერბურგში არსდება ახალი საზოგადოება, სახელად „ზრუნვა“. ამ საზოგადოებას აზრადა აქვს ააგოს ერთი დიდი, უზარ-მაზარი სახლი, სადაც წვრილ-წვრილი სადგომები აქვთ გამართული ყოველგვარის მოწყობილობით. ეს სადგომები დაეთმობა მხოლოდ ქარხნების მუშებს. საზოგადოებას ძირის თანხად 1,000,000 მანეთი ექმნება. ეს თანხა უნდა შესდგეს 20,000 აქციის გაყიდვით. თითო აქცია ამ რიგად 50 მანეთი ეღირება. ამ საზოგადოების დამაარსებელთ წესდება უკვე შეუმუშავებიათ და წარუდგენიათ მთავრობისათვის დასამტკიცებლად.

— „პეტ. უწყ.“-ის სიტყვით, საიმპერატორო სამეცნიერო აკადემიას მიუღია ტფილისის დროგამოშვებით გამოცემათაგან პუშკინის დაბადების დღიდგან 100 წლის გასვლის სახსოვრად მშვენიერი ვერცხლის გვირგვინი პოეტის ქანდაკის შესამკობად. გვირგვინი არის დაფნის მოგვარის ხელოვნურის ფოთლებით დაწნული და ქვეშ გვირგვინის გამგზავნელთა სახელი და გვარები აქვს მოწერილი.

— პეტერბურგის სავაჭრო-სამრეწველო და სახელოსნო დაწესებულებებში მსახურ მცირე-წლოვან შეგირდთა და მუშათა სამზრუნველო კომისიამ ხელოსან ოსტატთა ბოროტ-მოქმედობის ასაშორებლად, წინადადება მისცა ხელოსანთა გამგეობას, სავალდებულო შეიქმნეს წერილობითი ხელ-შეკრულება ხელოსანთა და შეგირდთა შორის.

— უწმ. სინოდის სამეურნეო განყოფილება შეუდგა ეკკლესიებისა, საეკკლესიო შენობათა და საზოგადოდ სასულიერო უწყების კუთვნილ შენობათა დაზღვევის საქმის მოწყობას.

— რათა გლეხებს დაბალ-სამეურნეო სკოლებში თავიანთის შვილების შესანახ გარდასახადის შეტანა გაუადვილდეთ, მიწად-მოქმედების სამინისტრომ შესაძლებლად სცნო გლეხებს უფლება მიეცეთ გადასახად ფულის მაგივრად, სურსათით გარდაიხადონ.

— „ტაგანრ. ვესტ.“ იუწყება, რომ 17 მაისს მაკეევის ვოლოსტში ერთ ფოლადის ჩამოსასხმელ ქარხნის მუშები, რიცხვით 500 მდე, არ წავიდნენ სამუშაოზედ და მოითხოვეს ისეთივე სამუშაო ქირის დაწესება, როგორიც ჰქონდათ 21 აპრილამდე. გამოაცხადეს უკმაყოფილება ცუდს წყალზედ და არ გაუშვეს სამუშაოზედ დანარჩენი მუშები. მუშები ძლიერ აღელვებულნი ყოფილან.

## უცხოეთი

**საფრანგეთი**. როგორც დეპეშამ გვაცნობა, დიუპუის კაბინეტი დაცემულა და რესპუბლიკის პრეზიდენტი ახალ სამინისტრო კაცების ძებნაშია. პირველ შეხედვით ეს შემთხვევა მოულოდნელად ეჩვენება კაცს, მაგრამ ამისი ნიშნები ბევრისთვის აქამდისაც თვალსაჩინო იყო. სამინისტრო კრიზისთან მჭიდრო კავშირი აქვს დრეიფუსის საქმეს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ 1894 წელს კაპიტანი დრეიფუსი დიუპუის მთავარ-მინისტრობის დროს იქმნა სამართალში მიცემული და დასჯილი. ეხლა, როცა ყველასათვის ცხადი შეიქმნა რომ დრეიფუსი იმის ჩამდენი არ არის, რისთვისაც მას ღირსება აჰყარეს და ეშმაკის კუნძულზე გაჰგზავნეს საპატიმროში, დიუპუი ქვეყნის უმრავლესობის სურვილს მიემხრო და სიმართლის აღდგენას, ე. ი. დრეიფუსის საქმის ხელახლა განხილვას ხელი შეუწყო. ამის შემდეგ ლოღიკა და სამართალი მოითხოვდა, იმავე დიუპუის, როგორც მინისტრ-პრეზიდენტს, ღონისძიება ეხმარა, პასუხის გებაში მისცემოდნენ ის კაცები, რომელნიც დრეიფუსის დასჯას სცდილობდნენ, იმისდა მიუხედავად, დამნაშავე იყო ის, თუ უდანაშაულო, და ამისათვის არავითარ საშუალებას, სიყალბის ჩადენასაც კი არ ჰზოგავდნენ. ასეთ კაცებად ითვლებიან პატი-დიუკლამი, და გენერლები: მერსიე, ბუადეფრი და გონზი. მაგრამ დიუპუის ამ შემთხვევაში ვერ ამჩნევდნენ სურვილს ენერგიულად მოქმედებისას; როგორც ეტყობოდა, მას არა სურდა გენერლებს სასტიკად მოეპყრობოდა. ყოველივე ამ გარემოებამ დიუპუის თითქმის ყველა დასი გადაამტერა; ანტიდრეიფუსარები მისი დაუძინებელი მტრები შეიქმნენ, რადგან მან დრეიფუსის საქმის ხელმეორედ გადასინჯვას ხელი მოუმართა, ხოლო დრეიფუსარები უკმაყოფილონი დარჩნენ იმის გამო, რომ ზემო ჩამოთვლილ გენერლების დასჯას არ სცდილობდა. ამის გამო რადიკალები და შუაგული დასის ერთი ნაწილი მოწადინებულნი იყვნენ, რომ დიუპუის ადგილი ისეთს კაცს დაეჭირა, რომელიც არ დაზოგავდა დრეიფუსის საქმეში სიყალბის ჩამდენთ და საზოგადოდ ყველას, ვინც უკანონოდ მოქმედებდა მაშინ. ამ რიგად შემთხვევას ელოდენ, თორემ თითქმის ყველა დასი მზად იყო სამინისტრო გადაეყენებინა. ასეთმა შემთხვევამაც დიდ ხანს არ დაიგვიანა: 31 მაისს, როცა რესპუბლიკის პრეზიდენტი ლანშანში დაესწრო მარულას, წეს-რიგის დასაცველად მთავრობის მიერ განსაკუთრებული ზომები იყო მიღებული. ამ დღეს ადგილ-ადგილ პოლიციას შეტაკება მოუხდა მანიფესტანტებთან, გარდა ამისა ერთ რესტორანში დიდი უწესოება მოახდინეს სხვა-და-სხვა დასის წევრებმა, და პოლიციაც იძულებული შეიქმნა საქმეში ჩარეულიყო. ეს გარემოება ხელზე დაიხვიეს პარლამენტში და მთავრობას კიცხვა დაუწყეს, რომ პოლიცია მეტის-მეტ მალმომრეობას ადგაო. სამინისტრო დაეცა 321 ხმით 178 წინააღმდეგ.

—

**ინგლისი**. 24 მაისს საზოგადოებათა პალატაში ბალფურმა წინადადება შეიტანა, რომ სუდანის ექსპედიციის უფროსს, ლორდ კიჩინერს, 30 ათასი გირვანქა სტერლინგი (300 ათას მანეთამდე) მივართვათ საჩუქრად, რადგან მან დიდი სამსახური გაუწია ინგლისს იმით, რომ მშვენივრად გაწყვიტა ჯარი და საუცხოვოდ დაამარცხა დერვიშებიო. ბალფურმა სთქვა, რომ დარწმუნებული ვარ, ჩემს წინადადებას შეიწყნარებენ პალატის ისეთი წევრებიც-კი, რომელნიც სუდანის ექსპედიციის წინააღმდეგნი იყვნენო და ამ რიგად წინადადება ერთხმად იქმნება მიღებული პალატის მიერო. ოპოზიციის ლიდერმა, კემპბელ ბანერმანმა, მხარი დაუჭირა ბალფურს, მაგრამ ამასთანავე განაცხადა, რომ, სამწუხაროდ, მარტო ქება დიდებით ვერ მოვიხსენიებ კიჩინერსო, რომლის წყალობითაც ექსპედიციის სახელი დაიჩრდილა, რადგან მახდის საფლავი დანგრეულ იქმნა და მისი ნაშთი წაბილწულიო. მაგრამ ეს გარემოება პალატასა და ქვეყანას საკმაო საბუთს არ აძლევსო,—დასძინა ოპოზიციის ლიდერმა,—კიჩინერის ღვაწლი შესაფერად არ დააფასოსო. ამის შემდეგ წამოდგა მორლეი, რომელმაც განაცხადა, რომ მე წინააღმდეგი ვარ ბალფურის წინადებისო. მორლეი პირ იქით იმ აზრის არის, რომ პალატამ ამ შემთხვევით ისარგებლოს და გაჰკიცხოს ისეთი ბარბაროსული საქციელი, როგორიც არის მახდის საფლავის წაბილწვა, რაიცა არ შეიძლება გაამართლოს ვინმემ რაიმე პოლიტიკურ მოსაზრებით. არ მჯერაო,—სთქვა მორლეიმ,—პალატაში გამოჩნდეს ვინმე ისეთი, რომელმაც მოუწონოს მახდის საფლავის დანგრევაო. ბალფურის წინადადება გავიდა, მაგრამ ერთ-ხმად არა—393 დეპუტატი მომხრე იყო, ხოლო 51 წინააღმდეგი აღმოჩნდა.

—

**ავსტრო-უნგრეთი**. 17 მაისს საღამო ხანს ქ. ვენის რამდენსამე განაპირა უბანში სოციალ დემოკრატებმა ქუჩებზედ დიდი დემონსტრაციები გამართეს ქალაქის მოურავის ლიუგერისა და ქრისტიანე—სოციალისტების საწინააღმდეგოდ. სოციალ-დემოკრატიის დასის მეთაურებმა თორმეტგან მოახდინეს ყრილობა, სადაც გაცხარებით წინააღუდგნენ ლიუგერის-მიერ წარდგენილს ახალს გეგმას სათემო არჩევნებისას; ლიუგერს ისეთი ცვლილება ჰსურის მოახდინოს არჩევნების წეს-რიგში, რომლის შემწეობითაც გაბატონდება მისი დასი ქ. ვენაში. ხოლო მუშებს საარჩევნო უფლება მხოლოდ სახელით-ღა შერჩებათ. რამდენიმე ყრილობა აკრძალულ იქმნა პოლიციის კომისარების-მიერ მთავრობის წინააღმდეგ ამხედრების გამო. შემდეგ მუშებმა ქუჩებზედ სიარული დაიწყეს ხმა-მაღლის ყვირილით და სტვენით. აუარებელი ხალხი შეიკრიბა ალოიზის პრინცის ლიხტენშტეინის სასახლის წინ და ჰყვი-

როდა: მირს მატყუარები, ხალხის მრყვნელებიო. ასეთივე დემონსტრაციები გამართა ქალაქის მოურავის თანაშემწისა და დეპუტატის შნეიგერის სახლების წინ. მრავალგან სასტიკი შეტაკება მოხდა მუშებსა და პოლიციის შორის. მრავალი მუშა შეპყრობილ იქმნა.

# დამაკვირდი

ისეთი დრო დაგვიდგა, რომ გულწრფელობა და გულ-უბრყვილობა სისულელის ნიშნად მიგვაჩნია!..

ბ. დ—შვილი

* * *

ზოროტსა კაცსა, არ სარწმუნოსა, ნუმცა ოდეს სად მოიგებ შენ მეგობრად.

წმ. გრიგოლი

* * *

კაცთა ყოველთა განსვენებათა შორის უფროჲს არს კიდრე განსვენებაჲ: ქორწინებათა აქუს უშვილობაჲ, სიქურივე, ხრწნილებაჲ; მუშაკობათა აქუს უნაყოფობაჲ; ვაჭრობათა დანთქმანი ზღუათა შინა; სიმდიდრეთა ჰქონან მტერობანი; შუებათა და თვითო ფერთა სანოაგეთა ჰქონან თვითო სახენი სენნი და მრავალ-ფერნი ვნებანი.

წმ. ეფთვიმე მთაწმიდელი

## ჟურ: ალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

ერთს ფრანგულს გაზეთში შემდეგი ამბავია დაბეჭდილი ადელინა პატის, ამ ჟამად ბარონესსა სედერსტრემის შესახებ. პატი და იმისი ქმარი, ახლად ჯვარ-დაწერილნი, პარიჟიდგან ორის კვირით სხვაგან სამოგზაუროდ წასულან. ნაცნობებისათვის პატის ერთი ადრესი დაუტოვებია, სადაც წერილები უნდა გაეგზავნათ, სახელდობრ ქ. კანი. ერთის კვირის შემდეგ, როდესაც ახლადჯვარ-დაწერილნი კანში მისულან, პატი დაუყოვნებლივ ფოსტაში გაქანებულა წერილების მისაღებად. „ბარონესსა ადელინა სედერსტრემის სახელზედ წერილი ხომ არ მიგიღიათ?“—უკითხნია პატის ფანჯრიდგან მოაჯირებს შიგნით მჯდომ ფოსტას მოხელისათვის.

— „ერთი კი არა, ასზედ მეტი წერილი მივიღეთ; მთელი კვირა მარტო მაგ წერილებს მოუნდითო“!—ბუტბუტით მიუგია მოხელეს.

— „მაშ კეთილი, ინებეთ და გადმომეცით ეგ წერილები“, უთქვამს პატის და თან ხელი გადაუყვია ფანჯარაში.

— „უკაცრაოდ, შეგიძლიანთ, რომ საბუთი წარმოადგინოთ, რომ თქვენ სწორედ ადელინა სედერსტრემი ბრძანდებით?“—უკითხნია მოხელეს.

— „არა...ჰო, აი, ჩემი სადარბაზო ბარათი მაქვს“.

— „ეგ საკმაო არ არის, მოუჭრია სიტყვა მოხელეს, მე რა ვიცი, იქნება სხვისია ეგ სადარბაზო ბარათი. მერე შემოიარეთ და საბუთი წარმოიმძღვარეთ“. პატის ძალიან უნდოდა წერილების მიღება და მეორედ მოსვლაც ეზარებოდა. „გამიგონეთ მეგობარო,—ხელ-ახლა მიუმართავს მოხელისათვის,—შემომხედეთ კარგად, მე ადელინა პატი ვარ, მომღერალი. ჩემი ფოტოგრაფიული სურათი უთუოდ გენახებათ“. „არა ჩემო ბატონო, მე სწორედ ისე ვიქცევი, როგორც სამსახური მოითხოვს და როგორც წესი და რიგია“. ამ სიტყვებთან ერთად გაჯავრებულს მოხელეს ფანჯარა მიუხურნია. ჯერ ადრე ყოფილა და ფოსტაში მოხელეებიც-კი არ მისულიყვნენ, კუთხეში მხოლოდ ერთი მოხუცი მოხელე იჯდა თურმე. პატის წერილებით გაჯავრებული მოხელე ის იყო წერას ჩაუჯდა, რომ ოთახში მშვენიერი სიმღერა გაისმა. ეს პატი მღეროდა თურმე ერთ რომანსს. ამავე დროს კარები გაღებულა და სხვა ოთახებიდგან გაკვირვებული მოხელენი შევარდნილან. მოხუც მოხელესაც თავი მაღლა აუღია და განცვიფრებულს წამოუძახნია: „პატი! ასე მხოლოდ პატის შეუძლიან სიმღერა!“-ო. „აბა, ეხლა ხომ კმაყოფილი ხართ,—მიუმართავს პატის სიმღერის გათავების შემდეგ გაჯავრებულ მოხელესთვის,—გეყოფათ თუ არა ეს საბუთი?“ და თან ყელზედ უნიშნებია. სიმღერით დამტკბარს მოხელეს უარი აღარ უთქვამს და ხელად გადაუცია წერილები.

* * *

ლოთობა მწერებს შორისაც ყოფილა გავრცელებული. რასაკვირველია, მწერები არაყს, ღვინოს და ამგვარ რამეებს არ გიახლებიან, მაგრამ სამაგიეროდ იმათ თავიანთი მაგარი, დასათრობი სასმელები ჰქონიათ. ინგლისელი ექიმი ჯემს უეირი, რომელიც კარგა ხანია თურმე შეუდგა მწერების ცხოვრების შესწავლას, ამბობს, რომ ალკოჰოლიზმი ისევეა გავრცელებული მწერებს შორის, როგორც კაცებს შორისაო. ეს ექიმი კენკუტში სცხოვრობს. „კენკუტშიო, სწერს უეირი, ერთგვარი მცენარეა, რომელსაც სახელად „კოსმოსი“ ეწოდება, კოსმოსი შემოდგომაზედ ყვავილობს. ერთხელ გარეთ ვუჯექი და მცენარის მშვენიერის ყვავილებით ვტკბებოდი. ცოტა ხანს უკან შევნიშნე, რომ ამ მცენარეს მწერები ძალიან ეტანებოდნენ. მწერები მცენარის ყვავილებს ასხდებოდნენ და იქიდგან წვენსა სწუწნიდნენ. დრო გამოშვებით ზოგიერთი მათგანი ძირს ვარდებოდა, საიდგანაც ადგომას ველარც-კი ახერხებდა ხოლმე. ფეხებ-აშვერილი კარგა ხანს ეყარნენ ასე, ვიდრე გამოფხიზლდებოდნენ და ხელ-ახლა ზანტად წამოიწევდნენ. ერთი ასეთი ბუზანკალი ავიყვანე და მეორედ მცენარეზედ დავსვი. ლოთი ხელ-ახლა დაეწაფა სასმელს და მერე ხელ-ახლავე გაიშხლართა დედამიწაზედ“.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

2 ივნისი

**კიევი.** კიევის უნივერსიტეტში სახელმწიფო ეკზამენები დასრულდა.

**პარიჟი.** სასამართლოში გაირჩა საქმე კრისტიანისა, რომელმაც ოტეილში რესპუბლიკის პრეზიდენტს ჯოხი მოუქნია. კრისტიანიმ განაცხადა, რომ ძალიან აღელვებული ვიყავი და იმიტომ ჩავიდინე ეს საქმეო. წინდა წინვე გაზრახული არა მქონდა პრეზიდენტისათვის დამეშავებინა რამეო. საბრალმდებლო სიტყვა თვით რესპუბლიკის ბრალმდებელმა ფელიოლემ წარმოსთქვა. ფელიოლემ სთქვა, რომ კრისტიანს წინადვე განზრახული ჰქონდა პრეზიდენტისათვის ვნება მიეყენებინაო. ხალხი ბევრი დაესწრო. საყურადღებო არაფერი მომხდარა.

**პარიჟი.** საბრალმდებლო პალატამ განაცხადა, რომ პიკარისა და ლებლუას საქმეში ისეთი რამ არაფერია, რომელიც მათ დანაშაულობას ამტკიცებდესო.

**ლონდონი.** მანილიიდგან ამბავი მოვიდა, რომ ფილიპინელთა მთავარსარდალი გენერალი ლუნა და იმის ადიუტანტი 27 მაისს აგვინალდოსთან წავიდნენ სათათბიროდ, მაგრამ როდესაც აგვინალდოს სადგომთან მივიდნენ, შეტაკება მოუხდათ დარაჯთან, ხოლო როდესაც ლუნამ რევოლვერი ამოიღო, ისიცა და ადიუტანტიც იქვე ხიშტებით მოჰკლესო.

**ბომბეი.** მადურისა და ტინევილეისის ოლქებში არეულობა თანდა-თან იზრდება და საშიში ხდება. წარსულ ღამეს 9 სიპაის 2,000 კაცი დაეცა. მეამბოხენი სოფლებს ცეცხლს უკიდებენ. სოფელი სრულიად გადასწვეს.

**ჰააგა.** მესამე კომისიის მცირე კომისიას დღესაც ლაპარაკი სამედიატორო სასამართლოს შემოღების პროექტის შესახებ ჰქონდა. რადგანაც დელეგატებს თავიანთ მთავრობებისაგან ინსტრუქციები არ მიუღიათ, არავითარი გარდაწყვეტილება არა ყოფილა. შემდეგი კრება პარასკევისათვის არის დანიშნული.

**ჰააგა.** განყოფილებათა თავმჯდომარეთ კრებაზედ გარდასწყვიტეს, გადასცენ ხოლმე ჟურნალ-გაზეთებს ცნობები საზოგადო კრების გარდა, კომიტეტისა და განყოფილებათა კრებათა შესახებაც.

**პარიჟი.** ბევრი გაზეთი ამბობს, რომ კაბინეტის შედგენას პუანკარეს მიანდობს პრეზიდენტიო. „Journal“-ი სწერს, რომ პრეზიდენტმა უკვე მიანდო კაბინეტის შედგენა პუანკარესაო და ამ უკანასკნელმა უკვე გაუგზავნა დეპეშა ვალდეკ რუსოსა და ბურჟუასაო. „Matin“-ის სიტყვით, ბურჟუას სთხოვეს გარეშე საქმეთა მინისტრობა იკისროს, ზოგიერთი სხვა გაზეთი ამბობს, რომ კაბინეტის შედგენას პრეზიდენტი ვალდეკ რუსოს მიანდობსო.

**პარიჟი.** 1½ საათზედ ლუბემ მიიღო პუანკარე და დაავალა კაბინეტის შედგენა.

**პარიჟი.** პუანკარემ დრო მოსთხოვა ლუბეს მოსაფიქრებლად და დაჰპირდა საღამოს 6 საათზედ ჩემს გადაწყვეტილებას შეგატყობინებო.

3 ივნისი.

**პარიჟი.** პუანკრემ სათათბიროდ ინახულა რიბო, სერიეფა, მელინი, პეიტრალი და ბრისსონი.

**პარიჟი.** პუანკრე სხვა-და-სხვა პოლიტიკურ მოღვაწეებთან მოლაპარაკებას განაგრძობს. ის ხელ-ახლა იყო ელისეის სასახლეში, რომ სთხოვოს ლუბეს ხვალამდის აღროვოს, რადგან ჰსურს ინახულოს ზოგიერთი პირი, რომლებთანაც მოლაპარაკება ვერ მოასწრო.

**მადრიდი.** სენატმა მიიღო ხელშეკრულობა, რომლის ძალითაც გერმანიას ერთმევა ზოგიერთი ნაწილი მშვიდს ოკეანეზედ.

## სასულიერო კონცერტის რეცენზენტს ბ-ნს №№-ს.

(წერილი რედაქციის მიმართ)

ჩვენ აქამდისაც გავცემდით პასუხს ბ-ნს №№-ს, მაგრამ ველოდდით, იქმნება თითონ ბ-ნმა მონადირიშვილმა მისცეს პასუხი. და, რა-კი იმან არ მიაქცია ყურადღება იმ რეცენზიას, ჩვენ განვიზრახეთ პასუხის მიცემა. მართალია, დავიგვიანეთ ლოდინში, მაგრამ სიმართლის აღდგენა არასოდეს არ იქმნება დაგვიანებული.

ვისაც-კი აინტერესებს ჩვენის საეკკლესიო გალობის საქმე და მისი წინმსვლელობა, ის სიხარულით მიეგებება ყველა იმ შენიშვნას ქართულის სასულიერო კონცერტის შესახებს, რომელიც იქმნება წარმოთქმული, ისეკი, რომ საკმარისად იყოს დამყარებული მუსიკალურს საფუძველზედ; ხოლო თუ ესე არ იქმნება, მაშინ არა თუ სიხარულით მიეგებება, არამედ სამწუხაროც იქმნება, რადგანაც საზოგადოებაში ვრცელდება ყალბი შეხედულება საქმეზედ. და აი სწორედ ამისათვის ვაძლევთ პასუხს ბ-ნს ბ-ნს №№-ს. თუ რამდენად საფუძვლიანია მისი რეცენზია, ეხლა დავინახავთ.

აი გავყვეთ სიტყვა-სიტყვა:

„ხშირად რომელიმე ცალკე პარტია,—ჰბრძანებს №№-ი—იწყებდა გალობას თითქოს გაუბედავად და ამიტომ უდაბლებდა ხმას ნახევარის ან მესამედის (?!) ტონით და ორისა ან სამის ტაქტის შემდეგ სწორდებოდნენ“.

„უდაბლებდნენ ტონის მესამედითაო“ (!?)... რა საკვირველია, ღმერთმანი!.. მუსიკაში იხმარება მთელი და ნახევარი ტონები. რაიცა შეეხება რეცენზენტის მესამედს ტონისას, ეს მისი ფანტაზიაა. არ შეიძლება ბ ნმა №№-მა ქაღალდზედ დამიწეროს ტონის მესამედი, ან ფორტეპიანოზედ მიჩვენოს?

ჭიანურის ან ჩონგურის მოწყობის დროს ჩვენ გვესმის სიმების სიმაღლე-სიდაბლე, მაგრამ დაბეჯითებით ვერ ვიტყვით, რომ ეს სიმი მაღალია ან დაბალია მესამედის, მეოთხედის და სხვ. ტონისა, გარნა ნახევარის ტონით, ვინაიდგან ევროპიული მუსიკა ნახევარ ტონებზედ ნაკლებ კამარებს (ინტერვალი) არა ჰსინჯავს; ჩვენი ყურთა სმენა ამ კანონებზეა აღზრდილი. არც ქართულს მუსიკაში იხმარება ტონის მესამედი, თორემ, რომ იყოს, პატივცემულის მღ. მ. ვას. კარბელაშვილის შრომაში და აგრეთვე ბ-ნ ზ. ი. ჩხიკვაძის „სალამურში“ შევხვდებოდით. მარტო ინდუსთა მუსიკაში განიხილებიან ნახევარ ტონზედ ნაკლები კამარები [1]), და ბ-ნი რეცენზენტი ჩვენი მუსიკის კანონებს რად ურევს ინდუსთა მუსიკის კანონებში? Вполнѣ ясно можно различать только отношенія такого числа колебаній, которое составляетъ разницу на полутонъ; болѣе мелкія отличія не всѣми могутъ быть слышимы, и хотя въ прежнее время существовало дѣленіе звуковъ на четверти тоновъ, но впослѣдствіи отмѣнено, какъ трудно различаемое даже привычнымъ ухомъ [2]).

„ხშირად რომელიმე პარტია უდაბლებდა ტონის მესამედითაო“... ავიღოთ თუნდა პირველი ხმები, რომ ვითომ ისინი უდაბლებდნენ ტონის მესამედით. პირველი ხმები საგალობლების დასაწყისში ხშირად იღებდნენ მეორე ოქტავის პირველს „დოს“, რომელიც ჰჟღერს 1024-ჯერ [3]); მესამედი ამისი იქმნება 341⅓. უნდა მოგახსენოთ, რომ ამის შეტყობას მართლა ფენომალური მუსიკალური სმენა უნდა, რაიცა საეჭვოა, რომ ბ-ნს №-ში მოიპოვებობოდეს, როგორც გაგვეცნო იგი თავისს რეცენზიით. „ხშირად რომელიმე პარტია (სახელდობრ რომელი?) იწყობდა გალობას, თითქოს გაუბედავად და ამის გამო უდაბლებდა ხმას ნახევარის ტონით და ორის ან სამის ტაქტის შემდეგ სწორდებოდნენო“. სახელდობრ, რომელი ხმები ადაბლებდნენ; ნუთუ მესამედის ტონის შეტყობს არ შეეძლო დაესახელებინა, რომელი პარტია ადაბლებდა? იქნება პირველი ხმები ადაბლებდნენ? პირველს ხმებს რომ ნახევარის ტონით დაედაბლებინათ ხმა საგალობლების დასაწყისში, მაშინ შემოკლებული „კვინტა“ იქმნებოდა; ვინაიდგან კილო პირველს ხმას უპირავს და სდგას მეხუთე ადგილზედ ძირითადის ტონიდგან. მომეტებული ნომრები კონცერტის საგალობლებისა „ფა მაჟორზეა“ დაწყობილი. პირველმა ხმებმა დაადაბლეს ნახევარის ტონით, ე. ი. აიღეს „დო ბემოლი“, მეორე ხმებს დარჩათ „ლა“, მესამეს და მეოთხეს „ფა“, მერე ბ-ნი №№-ი, კონცერტზედ როგორ-ღა დარჩა; განა ამისთანა „დისსონანსი“ მისმა ნარნარმა ყურებმა მოითმინეს? მერე ტაქტის მეოთხედზედ ან მერვედზედ ხომ არა, ეს კიდევ არაფერი, ორისამის ტაქტის განმავლობაში. განა ამის შემდეგ შეიძლება ბ-ნმა რეცენზენტმა სთქვას: „კონცერტმა კარგად ჩაიარაო“! კარგი იქმნება, ბ-ნო №№-ო, ეს „აკკორდი“ ფორტეპიანოზედ სცადოთ, თუ რეცენზიის დაწერამდის არა სცადეთ და მერე ისე არ დასწერეთ.

„გარდა ამისა მგალობელთ ეტყობოდათ, რომ აკლდათ მუსიკალური წრთვნა... „ჩემის აზრით, პირველი ხმების რიცხვი რომ ნაკლები ჰყოლოდათ, შეიძლება გალობა უფრო ბწყობრი გამოსულიყო“.

ეს ვერ გვესმის ჩვენ, თუ მგალობელთ ეტყობოდათ, რომ აკლდათ მუსიკალური წრთვნა, პირველ ხმების სიცოტავე განა საქმეს უშველიდა? ავტორს, ვგონებ, ამით უნდა ეთქვა, რომ ტონის მესამედით დადაბლებას ისე ველარ შეჰნიშნავდნენო. უფრო კარგი არ არის, ტონის მესამედის ცოდნა გამოგაჩენინათ პირველი ხმების უმრავლესობამ.

„ან რა საჭირო იყო, რომ უეჭველად სამოცი მგალობელი არა ყოფილიყო ხოროში“.

დამსწრეთაგანი

(დასასრული იქნება)

[1]) Исторія музыки, А. С. Размадзе გვ. 24.

[2]) Теорія музыки, А. Л. Спасской.

[3]) Голосъ и рѣчь, докт. Гордона. გვ. 87.


# განცხადებანი

დაიბეჭდა და იყიდება „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებლის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

თხზულებანი

**ა. ს. პუშკინისა**

ფასი 50 კაპ.

სოფელს კასპში, რკინის გზის სადგურთან ახლო **ისყიდება ანუ ქირავდება საზაფხულოდ**

**ოთხი ოთახი**

ავეჯით და ორხოებით მოწყობილი, წინ ეზოთი და მიწით, ზომით ერთ დესეტინამდის. ფასის შესატყობად მიმართეთ მელქო კუთხაშვილს (კასპში, ამილახვარის სახლში).

ქ. ქუთაისში ახლად გაიხსნა

**ღვინის საწყობი**

ი. გოკიელოვის შვილებისა

ფასები:

| | | | ბოთლი უპურჭლოთ | ფუთი მ. კ. |
|---|---|---|---|---|
| № 10 | ღვინო | სვირისა | 15 კ. | 2 30 |
| 9 | „ | „ | 18 „ | 2 80 |
| 8 | „ | „ | 20 „ | 3 — |
| 8 | „ | კახური | 20 „ | 3 20 |
| 7 | „ | „ | 25 „ | 4 — |
| 6 | „ | „ | 30 „ | 4 80 |
| 5 | „ | „ | 40 „ | 6 — |
| 4 | „ | „ | 50 „ | 7 — |
| 3 | „ | „ | 60 „ | 9 — |
| 2 | „ | „ | 80 „ | 12 — |
| 1 | „ | „ | 1 მან. | 15 — |
| იფიანებისა | „ | „ | 30 კ. | 5 40 |

(10—52—8)

გამოვიდა გასაყიდად ბროშიურა რუსულს ენაზე:

**НОВАЯ ПОСТАНОВКА ПЕДАГОГИЧЕСКАГО ДѢЛА ВЪ УЧЕБНЫХЪ ЗАВЕДЕНIЯХЪ**

თხზ. ი. ვ. როსტომაშვილისა, ფასი 20 კაპ.

წიგნის მაღაზიებს დაეთმობათ 30°/₀, თუ დაიბარებენ არა ნაკლებ 5 მანეთისა, და გამგზავნითაც ჩვენ გავუგზავნით. ადრესი: ტფილისი, ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს.


Дозволено цензурою, Тифлисъ 3-го Iюня 1899 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე